პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 18 თებერვალი 1926 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

37 (1032) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24. განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ჩვენი უდიდესი ყურადღება ამ საქმეს.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებების ჩამოყალიბებას და მათი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ჩვენი ნაწილების განმტკიცებისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ამ საზოგადოებების კარგი მუშაობით ჩვენ მივაღწევთ წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლებას და ფართო მოსახლეობის გასამხედროებას.

რამდენი დღე გადის, მით უფრო უმჯობესდება და ჩქარი ნაბიჯებით მიდის წინ სამხედრო ტეხნიკა, სამხედრო მეცნიერება. ამიტომ ყოველივე ამის შესწავლა ჩვენი ნაწილების შემადგენლობისათვის აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი წითელი არმიის უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელ არმიელები ჩამორჩებიან ამ დარგის ტეხნიკას, განვითარებას და საერთო [illegible]ნსვლას.

ჩვენს ნაწილებში ამ დარგის მუშაობას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. ამიტომაა, რომ მისი მუშაობა ყველგან არ სდგას იმ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს დღეს ჩვენი წითელი არმიის აღმშენებლობა და ფართო მოსახლეობის გასამხედროება.

როგორც ვიცით, ნაწილებში ბევრგან ამ ჟამად ჩამოყალიბებულია სამხედრო-სამეცნიერო წრეები და სამხედრო კუთხეები, რომლის მუშაობაში უმთავრესად მონაწილეობას ღებულობენ მეთაურები და პოლიტ-მომუშავეები. წითელ არმიელთა ფართო მასა კი მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული. ყოველივე ამის შედეგად ჩვენ მივიღებთ იმას, რომ ეს უკანასკნელები სუსტად იქნებიან მომზადებულნი სამხედრო დარგში და მომავალში ისინი ვერავითარ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ სამხედრო კუთხეების მუშაობას და სამხედრო პროპაგანდის წარმოებას სოფლად და ქალაქად.

გარდა ამისა წითელი არმიელები ყოველდღიური მეცადინეობის დროს ვერ შესძლებენ შეისწავლონ ეს საქმე. ამიტომ ამის შესასწავლად საუკეთესო საშუალება იქნება სამხედრო-სამეცნიერო წრეების მუშაობის გაღრმავება და ამ მუშაობაში წითელარმიელების მიზიდვა. უნდა მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რომ წრეების მუშაობას არ ჰქონეს შემთხვევითი ხასიათი, რითაც შეიძლება გამოწვეულ იქნას წითელარმიელებში ამ მუშაობისადმი გულგრილად მოპყრობა.

ნაწილების პარტ-ორგანიზაციების მოვალეობა იქნება გაუწიონ სწორი და საქმიანი ხელმძღვანელობა სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებების ჩამოყალიბებას და მათი წრეების ნაყოფიერ მუშაობას.

თითეული მეთაურის, პოლიტ-მომუშავის და წითელი არმიელის მოვალეობა იქნება მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ მუშაობაში, კარგად შეისწავლონ ეს საქმე და ამით უზრუნველჰყონ ჩვენი ჯარის მომავალი აღმშენებლობა.

## სირიაში ირღვევა ფრანგების მმართველობა.

სირიის აჯანყებულები გაბედულად იბრძვიან დამასკის ხელში ჩასაგდებად.

აჯანყებულები ხშირად ესხმიან თავს ქალაქს და საწინდრად მიჰყავთ ფრანგების მომხრე გამოჩენილი ადგილობრივი პირები.

გადადგა სუბხის მთავრობა და ფრანგებს ვერ უპოვნიათ საზოგადოებრივი მოღვაწეები ახალი მთავრობის შესადგენად.

გადადგა აგრეთვე დამასკის ქალაქის თავი.

## არაბთა გაზეთები დაინტერესებული არიან კომუნისტებით.

არაბთა გაზეთები პალესტინაში კვლავ დიდის ინტერესით იხსენიებს კომუნისტებს. ერთი გაზეთი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკები ბუნებრივი მოკავშირეები არიან აღმოსავლეთის ხალხების, რომლებიც დასავლეთის იმპერიალისტების უღელქვეშ გმინავენ. პირიქით ხაიფის გაზ. „ანდფირი“ ათავსებს ცილისწამებით აღსავსე წერილებს კომუნისტების წინააღმდეგ.

# ახალი რადიო ამბები

## ეგვიპტეში იზრდება მღელვარება.

ეგვიპტის სხვა და სხვა რაიონებში ხშირდება მოხელეებზე თავდასხმის შემთხვევები.

ეს თავდასხმები მაჩვენებელია იმ მღელვარების, რომელიც მოედო ეგვიპტის მოსახლეობის ფართე მასებს.

## ფრანგების ჯარების მთავარი ბინა

მაროკოში მყოფ საფრანგეთის სამხედრო ძალების მთავარსარდლის მთავარი ბინა იქნება რაბატში.

რაბატში უკვე მივიდა საფრანგეთის მთავარი შტაბი.

## პოლონეთ-საბჭოთა სარკინისგზო ყრილობა.

დღეს, 18 თებერვალს მოსკოვიდან ვარშავაში გაემგზავრება გზათა სახალხო კომისარიატის დელეგაცია, რომელმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლონეთ-საბჭოთა სარკინისგზო ყრილობის მუშაობაში.

## ოსმალეთის მრეწველთა დელეგაცია სსრკ-ს შესახებ.

ოსმალეთის მრეწველთა დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა ოსმალეთში.

წასვლისას დელეგაციამ განაცხადა: ის რაც ჩვენ ვნახეთ საბჭოთა კავშირში, ქვეყნის მნიშვნელოვანი ზრდის აშკარა დამამტკიცებელია.

## თავდასხმა უნგრეთის მინისტრზე

უნგრეთის მინისტრ ბასანის (დემოკრატების ბელადი) მოკვლის მიზნით თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი. თავდასხმისას მინისტრს დაუძახეს: „თქვენ შეურაცხყავით მთავრობა, თქვენი რიგი მოვიდა“. ბასანიმ დაარტყა ერთს ჯოხი, ხოლო მეორე დააკავა შოფერმა. თავდამსხმელები აღმოჩნდენ რეაქციონურ ორგანიზაციის წევრები.

## საფრანგ. საფინანსო კანონ-პროექტი

საფინანსო კანონპროექტის უკანასკნელ კენჭის ყრის წინ მოხდა სასტიკი შეტაკება ბრიანსა და სოციალისტებს შორის, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ თავი დაეჭირათ ხმის მიცემისაგან.

მთავრობამ დააყენა გეგმის შესახებ ნდობის საკითხი. გეგმა მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით მემარჯვენეებისა და კომუნისტების წინააღმდეგ.

# საბჭოთა კავშირში

## იაპონიისა და ჩინეთის მუშათა ახალგაზრდ. დელეგაციის მოწვევა.

ლენინურ ახკომკავშირის ცეკას ბიურომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მოიწვიოს იაპონიისა და ჩინეთის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია საბჭოთა პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრებისა და შემოქმედებასთან გასაცნობად.

## ისტორიული განძი.

ქერჩის ახლოს სოფელ მარფოვკაში ადგილობრივ გლეხმა იპოვნა ოქროს განძი, რომელიც მეტად საინტერესოა, როგორც სიძველე, ვინაიდან ის ეკუთვნის მე-5 საუკუნის სიძველეს.

# საქართველოში

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში

### გურიაში.

გურია დაყოფილია 51 საარჩევნო უბნად. ყოველ უბანზე მიმაგრებულია თითო ამხანაგი არჩევნების ხელმძღვანელობისათვის. არჩევნების ტეხნიკური მხარე დამთავრებულია.

არჩევნები დანიშნულია 26 თებერვალს.

### ლიუქსემბურგში.

დაიწყო ხელახალი არჩევნები. გლეხობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. არუხლინის თემში უკვე ჩატარდა არჩევნები. არჩეულ იქნა საბჭოში 20 კაცი. მათ შორის 2 კომუნისტია, ერთი კანდიდატი, სამი კომკავშირელი, 14 უპარტიო, 3 ქალი.

### ახალქალაქის მაზრა

არჩევნებზე მონაწილეობს 75 პროც. ამომრჩეველი. მათ შორის ბევრი ქალია.

თათრების პატარა სოფელ სილამოში მონაწილეობდა 8 ქალი. საბჭოებში გადის საშუალო და ღარიბი გლეხობა.

### ქუთაისი

დასრულდა არჩევნები ცხუნკურის თემში. 3.211 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 2.194 ამომრჩეველი. საბჭოში არჩეულ იქნა 67 კაცი. მათ შორის 6 ქალია. საბჭოში არჩეული იქნა სულ 12 კომუნისტი, 6 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

## წითელი არმიის 8 წლისა და საბჭოთა საქართ. 5 წლის თავი.

ახალქალაქის სამაზრო კომიტეტთან შესდგა საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავისა და წითელი არმიის 8 წლის თავის ჩამტარებელი კომისია. დღესასწაულის ჩასატარებლად გამოწვეულია რამოდენიმე ამხანაგი. გასაბჭოების დღეს გახსნილი იქნება ბარალეთის სარაიონო სამკითხველო.

## შავი ქვის გატანა

1-დან 15 თებერვლამდე ფოთის ნავთსადგურიდან გავიდა შავი ქვით დატვირთული 5 უცხოელი გემი. მოვიდა კვლავ 5 გემი, რომლებიც დატვირთულ იქნება ამ დღეებში.

## კოოპერატივის წევრთა რიცხვი იზრდება

ახალქალაქის მომხმარებელ საზოგადოებათა წევრების რიცხვი თანდათან იზრდება.

თანახმად მომხ. საზოგადოებების რწმუნებულთა თათბირის დადგენილებისა საზოგადოება შეუდგება ამ დღეებში იმ ღარიბების წევრად ჩარიცხვას, რომელთაც არ აქვს საწევრო გადასახადების საშუალება.

ცხადია, ეს წამოწყება საგრძნობლად დააინტერესებს გლეხობას კოოპერაციით და გააძლიერებს მას.

## სესხი მუშათა კოლექტივებს

სახელმწიფო ბანკის აჭარისტანის განყოფილებამ გადასცა უმუშევართა კოლექტივებისთვის 10.000 მანეთი სესხის სახით.

# ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ. № 8

1926 წლის 10 თებერვლიდან.

„მუშურ-გლეხური წითელი არმიიდან და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტიდან გათავისუფლებულთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ“.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა შემოღებულ იქნას სამოქმედოდ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება 1926 წლის 29 იანვრიდან № 22/101 „მუშურ-გლეხურ წითელი არმიიდან და მუშურ-გლეხურ წითელი ფლოტიდან გათავისუფლებულთა სამუშაოზე მიღების შესახებ“.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მაგიერ

ა. იაშვილი.

ამიერკ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფ. უფროსი გრიგორიანი.

**საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის**

**ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ**

**1926 წლის 29 იანვრიდან**

**№ 22/101.**

„მუშურ-გლეხური წითელი არმიიდან და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტიდან გათავისუფლებულთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ“.

**საკავშირო რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატი.**

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა შეღავათების კანონთა კოდექსის 81—89 მუხლის თანახმად (სსრკ-ს კანონთა კრებული, 1925 წ. № 37, მუხლი 275) საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მუშურ-გლეხური წითელი არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებული პირები სამუშაოზე გაგზავნისა და მიღების დროს ყოველ შემთხვევაში მიეთანაბრებიან პროფკავშირების წევრებს, კერძოდ, იმ შემთხვევაშიც, როცა კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კავშირის წევრების უპირატესობა და სამუშაოზე მიღების გამონაკლისი შემთხვევა.

2. მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და მ. გ. წ. ფლოტში გაწვევის გამო გათავისუფლებული თანამდებობანი შეიძლება გაუქმებულ იქნან მხოლოდ უკანასკნელ რიგში, ყოველთვის შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოს ნებართვით.

3. თანამდებობანი, რომლებიც აუცილებლად დაკავებულ უნდა იქნან მუშურ-გლეხური წითელი არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებულთაგან, შეიძლება დაკავებულ იქნან სხვა პირების მიერ იმ შემთხვევაში, თუ რომ იქნება შემდეგი პირობები:

ა) თუ რომ დაწესებულ ვადაში თანამდებობის გათავისუფლებიდან დამქირავებელს არ მიუღია განცხადება მუშურ-გლეხური წითელი არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებულთა სამუშაოზე მიღების შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ დაიკავონ მოცემული ადგილი,

ბ) თუ რომ დამქირავებელმა განაცხადა შრომის ბირჟაზე და მოითხოვა თავისუფალ ადგილზე მ. გ. წ. არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებული, მაგრამ ეს მოთხოვნილება არ იქნა ასრულებული დაწესებულ ვადაში, აღრიცხვაზე სათანადო კატეგორიების პირთა არ ყოფნის გამო (რის შესახებაც შრომის ბირჟა ვალდებულია, დამქირავებლის მოთხოვნით, მისცეს მას სათანადო ცნობა).

შენიშვნა: ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ვადები წესდებიან საკავშირო რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

4. მ. გ. წ. არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებულს არ შეიძლება მოსთხოვოს დამქირავებელმა პროფესიონალური მომზადება და კვალიფიკაცია, სადარაჯო და დაცვის სამსახურის თანამდებობაზე მიღების დროს ყველა დაწესებულებებსა და საწარმოებში, და აგრეთვე შავ სამუშაოზე მიღების დროს.

ყველა დანარჩენ შემთხვევებში მ. გ. წ. არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებულის მოცემულ სამუშაოზე ვარგისობის საკითხს, უთანხმოების შემთხვევაში, გადაჭრიან შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები.

5. დამქირავებლები, რომლებიც დაარღვევენ ან გვერდს აუვლიან კანონს მ. გ. წ. არმიიდა და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებულთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ, მიეცემიან შრომის ინსპექციის მიერ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც შრომის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

6. მ. გ. წ. არმიიდან და მ. გ. წ. ფლოტიდან გათავისუფლებულთა საჩივრები სამუშაოდ მიღებაზე უკანონო უარის შესახებ, გადაეცემათ ადგილობრივ შრომის ინსპექტორებს, რომლებიც განიხილავენ ამ საჩივრებს რიგ გარეშე წესით.

სსრკ-ს შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ბახუტოვი.**

სსრკ-ს შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და შრ. სახ. კომისარიატის შრომის ბირჟის განყოფილების უფროსი **გინდინი.**

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

## ᲐᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

### ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲝ ᲐᲘᲠᲛᲡᲞᲝᲑᲘ.

აირმსპობმა რომ თავისი დანიშნულება გაამართლოს, ე. ი. რომ დაიცვას შხამიან აირებისაგან, მსროლელს უნდა შეეძლოს მისი ჩქარა და სწორად გაკეთება.

აირის უეცარი იერიშის დროს თვითეულ წითელ არმიელს უნდა შეეძლოს აირმსპობის (ნიღაბის) თავზე ჩამოცმა 10 წამის განმავლობაში.

ხოლო ასეთი სისწრაფე მიღწეულ იქნება მაშინ, თუ რომ მეომრები რაც შეიძლება უფრო ხშირად ივარჯიშებენ აირმსპობის ჩამოცმაში და კარგად დაიმახსოვრებენ აირმსპობის ჩამოცმის წესებს. ბოლოს და ბოლოს გამომუშავებულ უნდა იქნას ისეთი დახელოვნება და სისწრაფე, რომ მეომარი არც კი უნდა ფიქრობდეს რა—რის შემდეგ გააკეთოს, ისე სწრაფად და სწორად ჩამოიცვას აირმსპობი; ერთი სიტყვით ამ საქმეში საჭიროა ერთგვარი ავტომატობის გამომუშავება. მაგალითი: განა მეომარი სროლის დროს დაწვრილებით ფიქრობს იმაზე, რომ თოფი უნდა გასტენოს, დააყენოს კორა და სხვა და სხვა? ყოველივე ამას ის აკეთებს მექანიკურად, ავტომატურად.

მაშასადამე, რომ მივაღწიოთ ავტომატიურობას აირმსპობის ჩამოცმაში, უნდა შევასრულოთ შემდეგი:

1) მოვიხადოთ ქუდი და მოვიქციოთ ის ფეხებ შორის.

2) გავხსნათ კოლოფი გადმოვიტანოთ ის მკერდ[illegible] იარლიკით წინ.

3) თასმის ყელიდან ჩამოუხსნელად მოვხსნათ სახურავი.

4) გავასწოროთ ნიღაბი და ყელიდან ძლიერ გავბეროთ.

5) ნიკაპიდან დაწყებული ჩამოვიცვათ ნიღაბი სახეზე, რათა შუშები (სათვალეები) მოვიდენ სწორად თვალების პირდაპირ.

6) დავიხუროთ ქუდი.

აირმსპობის ჩამოცმის შემდეგ უნდა ისუნთქო მშვიდად და ღრმად, უმჯობესია ცხვირით. როცა სათვალე შუშები გაოფლიანდება, უნდა გასწმინდო ისინი რეზინის თითით, რომელიც იმყოფება ცხვირის ახლოს.

თუ ამ წესრიგს დაიცავს, მეომარი მალე მიეჩვევა აირმსპობის სწორად და სწრაფად ჩამოცმას, ხოლო ეს კი ომში დაიცავს არა მარტო მის ჯანმრთელობას, არამედ სიცოცხლესაც.

პ.

# „ᲬᲔᲠᲙᲣᲛᲡᲘ“-Ს ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲔᲡ.

თითქმის ორი წელია, რაც დაარსდა საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება—„წერკუმსი“. ამ ხნის განმავლობაში დიდი მუშაობა მიუძღვის ამ საზოგადოებას და ბევრი რამაა გაკეთებული.

დღეს მრავალი ათასი წევრი ირიცხება ამ საზოგადოებაში, რომლის საშუალებით საქართველოში გახსნილია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 500 სკოლა თავის სამოსწავლო ნივთებით.

**„წერკუმსი“ ჩვენ ნაწილებში.**

„წერკუმსი“-ს უჯრედების რიცხვი ჩვენ ნაწილებში თანდათანობით იზრდება და ყალიბდება ორგანიზაციულად: „წერკუმსი“-ს ამოცანები და მიზნები იმდენად გასაგები და ახლოა წითელ არმიელთათვის, რომ არ თხოულობს დიდ განმარტებას.

ამავე დროს წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების პირობები მეტად ხელს უწყობენ „წერკუმსი“-ს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენს ნაწილებში. ამის გამო ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი, თუ რა შეუძლია აკეთოს „წერკუმსი“-ს უჯრედმა და ამ საზოგადოების თვითეულმა წევრმა წითელ არმიის თავისებურ პირობებში.

**მუშაობა თვით ნაწილში.**

პირველად საჭიროა შეჩერება „წერკუმსი“-ს მუშაობაზე თვით ნაწილში. ამ შემთხვევაში „წერკუმსი“-ს უჯრედების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს წერა კითხვის უცოდინარ და მცირე მცოდნე წითელ არმიელების პირველ რიგში ჩაბმა საზოგადოებაში. „წერკუმსი“-ს უჯრედების ღია კრებებზე უნდა ისმებოდეს მოხსენებები წერა-კითხვის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ და აგრეთვე საკითხები ნაწილის მასშტაბში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მსვლელობის შესახებ, აღმოჩენილ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით უნდა გამოინახონ სათანადო ღონის ძიება. „წერკუმსი“-ს უჯრედებმა თვალყური უნდა adevnon — 

თვალყური უნდა ადევნონ, რომ არც ერთი უცოდინარი წითელ არმიელი არ დარჩეს სკოლის გარეშე, უმთავრესად სამნეო გუნდებიდან და საავთმყოფოში წასულთაგან.

ჩვენ ვიცით, რომ კულტურულად ჩამორჩენილი მაზრები უფრო დიდ რიცხვს წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებს იძლევიან. ასეთ ჩამორჩენილ კუთხეებიდან გამოსული წითელ არმიელები აუცილებლად უნდა იქნენ ჩაბმული „წერკუმსი“-ს მუშაობაში, რომ ამით ერთგვარად ხელი შეუწყოთ „წერკუმსი“-ს მუშაობის გადატანას აღნიშნულ მაზრებში წითელ არმიელების გრძელ ვადიან შვებულებაში გაშვების შემდეგ.

**კავშირი სოფელთან.**

შესაძლებლობანი ამ მიმართულებით ძლიერ ფართოა. მე ვეცდები შევეხო მხოლოდ უმთავრეს მომენტებს.

პირველ რიგში „წერკუმსი“-ს უჯრედმა უნდა გააბას მჭიდრო კავშირი წერილობითი მიმოწერის სახით ერთ-ერთ სოფლის „წერკუმსი“-ს უჯრედთან, თუ ასეთი არ აღმოჩნდა, სოფლის მასწავლებელთან. ეს კავშირი საჭიროა გამოსარკვევად იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს ამა თუ იმ სოფელში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობი მუშაობა, რა აფერხებს ამ მუშაობას და სხვა. თუ საჭირო შეიქნება შეიძლება მიღებულ ცნობების თანახმად სათანადო ზომების მიღება ჩვენ ნაწილების „წერკუმსი“-ს უჯრედების მიერ, მაგალ. სათანადო შუამდგომლობის აღძრა ამა თუ იმ დაწესებულებების წინაშე სოფელში წერა-კითხვის უცოდინარობის მსვლელობის გაუმჯობესების შესახებ და სხ.

ჩვენ ნაწილების „წერკუმსი“-ს უჯრედების თვითეულმა წევრმა ფართო აგიტაცია უნდა გასწიოს წერილების სახით თავის ოჯახის წევრების ამ საზოგადოებაში ჩასათრევად. წერილების გარდა საჭიროა გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით წითელ არმიელების მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა. „წერკუმსი“-ს ყოველმა აქტიურმა წევრმა მოკლე ვადიან შვებულებიდან დაბრუნებისას მოხსენება უნდა გააკეთოს „წერკუმსი“-ს უჯრედის სხდომაზე, შესახებ იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე მის სოფელში და აგრეთვე მახლობელ სოფლებში, არსებობენ თუ არა „წერკუმსი“-ს უჯრედები და სხვა.

აქედან დასკვნა: ყოველი მგზავრება მოკლე ვადიან შვებულებაში „წერკუმსი“-ს წევრისა სოფლად, დიდი წარმატებით შეუძლიათ გამოიყენონ „წერკუმსი“-ს უჯრედებმა.

შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელს უნდა მიეცეს სათანადო დარიგებანი, თუ იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რომელსაც ის დაჰყოფს სოფელში როგორ დაარსოს მან „წერკუმსი“-ს უჯრედი, ვინ მოიხმაროს (ხელი უნდა მოიხმაროს მასწავლებელი და გრძელ ვადიან შვებულებაში მყოფი წითელ არმიელები ან ტერარმიელები) და სხვა.

აგრეთვე უნდა მიეცეს მას „წერკუმსი“-ს წესდება, ამ საკითხის შესახებ ლიტერატურა და სხვა.

ჩვენ ნაწილების ინიციატივით სოფელში შექმნილ „წერკუმსი“-ს უჯრედებს პირველ ხანებში ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ჩვენი ნაწილების „წერკუმსი“-ს უჯრედებმა, იმ დრომდე, სანამ სოფლის უჯრედები გაიმაგრებენ ძალს.

ცხადია, რომ ყოველივე ეს მუშაობა უნდა გატარდეს პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენ ნაწილებში ამ ჟამად მეტად მძლავრია ახ. ლ. კ. კავშირის ორგანიზაცია, რის გამო თვით კომკავშირის როლი ამ მუშაობაში მეტად მნიშვნელოვანი იქნება. კომკავშირის კრებებზე ხშირად უნდა ისმებოდეს და შუქდებოდეს საკითხები „წერკუმსი“-ს ამოცანების და მიზნების შესახებ, და აგრეთვე „წერკუმსი“-ს ადგილობრივ უჯრედის მუშაობის შესახებ.

ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ „წერკუმსი“-ს მუშაობა და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ლენინის იმ ანდერძის განსახორციელებლად, რომლის თანახმად, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე მთელ საბჭოთა კავშირში არ უნდა იყოს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

ი. რუდოვსკი.

# ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ.

## ᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ ᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ.

ჯარების მთელი საბრძოლო ცხოვრება მიმდინარეობს ადგილ-მდებარეობაზე, მინდვრად. ადგილ-მდებარეობა და ის საგნები, რომლებიც მასზე იმყოფებიან (ადგილობრივი საგნები) გავლენას ახდენენ ჯარების მოქმედებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილ-მდებარეობა და ადგილობრივი საგნები უმსუბუქებს ჯარებს მოქმედებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი უძნელებს ამ მოქმედებას. რომ მოქმედება უფრო წარმატებით წავიდეს, საჭიროა წინასწარი გაცნობა ადგილ-მდებარეობასთან. მაგრამ რანაირად უნდა მივიღოთ საჭირო ცნობები ადგილ-მდებარეობის შესახებ?

პირველ ყოვლისა პირადი დათვალიერების გზით. ადგილ-მდებარეობის მოცემული უბანი ან რაიონი გაისინჯება იმისთვის, რომ გამოირკვიო რას წარმოადგენს ეს ადგილ-მდებარეობა, რადარა ადგილობრივ საგნები იმყოფება მასზე (წყლები, ტბები, ჭაობები, სოფლები, ცალკე შენობები, ტყეები და სხვა), რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მათ, როგორ აუხვიო გვერდი მათ არახელსაყრელ თვისებებსა და სხვა.

მაგრამ პირველი დათვალიერებისთვის საჭიროა დიდი დრო ხოლო თუ რომ უბანი დიდია, ძნელია ყოველივე წვრილმანის დამახსოვრება.

ამიტომ ადგილ-მდებარეობას აღნიშნავენ ქაღალდზე (გეგმა და რუქა). განსაკუთრებული წესით რამოდენიმე ასეულჯერ დააპატარავებენ ადგილობრივი საგნის სიდიდეს და გადაიღებენ გეგმაზე ან რუქაზე. რუქაზე (ან გეგმაზე) შეიძლება არ ხედავდე თვითონ საგანს, მაგრამ მის შესახებ შეიძლება იქონიო სრული და ნათელი წარმოდგენა, აშკარად განსაზღვრო საგნების შორის მანძილი, მათი სიდიდე და სხვა.

მართალია გეგმა და რუქა ვერ გასწევს პირადი დათვალიერების, ადგილ-მდებარეობის თვალსაჩინოდ გაცნობის მაგივრობას, მაგრამ ისინი იძლევიან საშუალებას გაეცნო ადგილ-მდებარეობის დიდ უბანს (რაიონს).

გარდა ამ ორი მთავარი საშუალებისა, არსებობს კიდევ სხვა საშუალებანი, რომლებიც წარმოადგენენ პირველი ორის დამატებას: მაგალითად—ადგილმდებარეობის აღწერა, წერილობითი და ზეპირი. არის ადგილების მოკლე აღწერა. მაგრამ მათი მიხ. დვითძნელია ნათელი წარმოდგენა იქონიო ადგილ-მდებარეობაზე. ზეპირი აღწერა, ან ადგილ-მდებარეობასთან გაცნობილ პირების დაკითხვა ყოველთვის არაა სწორი და საიმედო.

ამრიგად უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკეთესო საშუალება ადგილ-მდებარეობის გასაცნობად—ეს არის გეგმა, რუქა და პირადი დათვალიერება. გეგმა და რუქა სდგება წინასწარ და მიტომ შეიძლება ისინი მოძვებნოს იმ დროისთვის, როცა ჩვენ გვჭირდება მათი გამოყენება. ამიტომაა რომ შემდეგნაირად იქცევიან: ჯერ გაეცნობიან ადგილ-მდებარეობას რუქებსა და გეგმებზე, შემდეგ მიდიან ადგილზე და დაუმატებენ და შეასწორებენ ყოველივე იმას, რაც აკლია და მოძველებულია.

ყველაფერი ეს ჩვენ აღვნიშნეთ იმიტომ, რომ თვითეულ[illegible] სამხედრო მსახურს დაწყებულ[illegible] რიგის მეომრიდან, უნდა შეეძლოს წარმოიდგინოს გეგმაზე აღნიშნული ადგილ-მდებარეობა ანდა როგორც იტყვიან—შეეძლოს „გეგმის კითხვა“.

პ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## დაუკავშირდით სოფლის და ქალაქის პარტუჯრედებს.

3-მე ლეგიონი.

[ა]მ ჟამად ლეგიონში ჩამოყალიბებულია თერთმეტი კომ[უჯრედი], თითეულ მათგანს კავშირი აქვს გაბმული, როგორც [ქალაქის], [ი]სე სოფლების უჯრედებთან. ყოველ სხდომებს ეს[წრე]ბიან სამოქალაქო ორგანიზაციიდან წარმომადგენლები, და [ეც]ნობიან თავიანთ მუშაობას.

სამოქალაქო ორგანიზაციებიდან ხშირად მოდიან ნაწილში ამხანაგები და აწყობენ საღამოებს, რაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელ არმიელებზე.

სოფლის ორგანიზაციებს ვეხმარებით ჟურნალ-გაზეთების გამოწერით და ვაგზავნით ჩვენს წარმომადგენლებს მათთან კრებებზე დასასწრებლად და მოხსენების გასაკეთებლად. ამხანაგები დაწვრილებით აცნობენ მათ ჩვენს ცხოვრებას და მუშაობის მიღწევებს.

ასეთი კავშირით მივიწევთ წინ საერთო მიზნისაკენ სამივე ორგანიზაციები.

სამხკორი ბ. იოსელიანი.

## ვაძლიერებთ წითელ არმიელებში მუშაობას.

1-ლი ლეგ. 9-რე ასეული.

ჩვენს ასეულში ერთი თვე იქნება რაც დაარსებული იქნა კომუჯრედი. ის აერთიანებს კანდიდატებსა და პარტწევრების საგრძნობ რიცხვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში უჯრედი სისტემატიურად აწარმოებდა მუშაობას და ირჩევდა საყურადღებო და საჭირბოროტო საკითხები. პარტიის წევრები თანდათან უფრო ებმებიან საერთო საქმიანობაში.

უჯრედი თავის დროზე ანაწილებს ყველა ამხანაგებზე პარტდავალებებს. მთავარი ყურადღება ექცევა უჯრედისაგან აგრეთვე წითელ არმიელთა შორის მუშაობას და მათი გააქტიურების საქმეს. იმედია მოკლე ხანში შესაფერ ნაყოფს მივიღებთ ასეთი მუშაობით.

წ. არმ. ზ. ვარდია.

**სამხკორებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოაგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულის შესახებ.**

## ყურადღებას არ აქცევენ.

მე-4 ლეგიონის 1-ლი ათასეული.

ლეგიონის 1-ლ ათასეულში ადგილი აქვს ერთ ნაკლს, რომელიც უკმაყოფილებას იწვევს წითელ არმიელებში. ეს ნაკლი არის პურის სიცუდე. აცხობენ გაუცრელ პურს, რომელშიდაც ხშირად გვხვდება სხვადასხვა მარცვლები და ზოგჯერ ჯოხის ნატეხებიც კი. ამას გარდა პურს აცხობენ გამოუსუფთავებელ ფურნეში, რის გამო მაზუთის სუნით არის გაჟღენთილი და ცხობაც საგრძნობლად აკლია.

იმედია ასეთ მდგომარეობას მიექცევა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და გაუმჯობესდება პურის ხარისხი.

სამხკორი ნიბლია.

## ხშირად ასეთი წარმოდგენები.

14 თებერვალს სანიტარულ განათლების თეატრში დაიდგა ახალი პიესა „მეძავი ქალი“. წინასწარ ამხ. ექიმმა გაგვაცნო პიესის შინაარსი და დანიშნულება, რაიც კარგათ იქნა ჩატარებული და დამსწრე საზოგადოებაზე დიდათ იმოქმედა. კარგი იქნება ასეთი შინაარსის პიესები ხშირად იმართებოდეს წით. არმიელებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობას.

მადლობის ღირსი არიან აგრეთვე ის ამხანაგები, რომლებიც არ ზოგავენ თავიანთ ძალღონეს სანიტარულ განათლების ფრონტზე მუშაობისათვის.

წ. ა. ქ. მინდიაშვილი.

## წრეების მუშაობა უმჯობესდება.

3-მე ლეგიონი.

სკოლაში დიდი ხანი არ არის რაც მოწყობილი იქნა ლენინის კუთხე. ამის შემდეგ ჩამოყალიბებული იქნა სხვა და სხვა წრეები და ბირთვები.

ამჟამად სკოლაში არსებობს ამათ გარდა „რემედასის“ საზოგადოება, ავიოქიმის წერკუმსის და სხვა.

[წ]რეებს შორის კარგად მუშაობენ ლიტერატურული და სამხკორთა. წითელ არმიელები მრავლად ეწერებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მუშაობაში.

მალე შევძლებთ მთელი მასის ჩაბმას წრეებში და მით დასახულ მიზნის მიღწევას.

სამხკორი როყუა.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## იმედებს გავამართლებთ.

**მე-4 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა,**

სკოლაში პოლიტ მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად, დაცულია ჯგუფებში აუდიტორიის ერთგვარობა სულ არის სამი პოლიტ-სამეცადინო ჯგუფი. ცოტა არ იყოს მეცადინეობაზე ხელს გვიშლის საკლასო ოთახების უქონლობა.

ერთ ჯგუფს უხდება გაკვეთილების საწოლებზე წერაც კი.

საჭიროა მეცადინეობის წარმატებით მსვლელობისათვის ტეხნიკურ საშუალებათა მოგვარება.

**სკოლის გარეშე მუშაობა.** პირველად მუშაობის ჩატარების შემდეგ, ჩამოყალიბებულ იქმნა წრეები, როგორიც არიან: პოლიტიკური, სამხედრო-ცოდნის, სამხკორთა და საერთო საგანმანათლებლო, რომლებმაც უკვე შეადგინეს სამუშაო გეგმები.

გათავდა წრეების ჩამოყალიბების ორგანიზაციული პერიოდი და შეუდგენ მუშაობას. მომაცადინეთა აქტიობა დამაკმაყოფილებელია.

**თვითმოქმედი თავისუფალი ორგანიზაციები.** სკოლაში აირჩიეს საორგანიზაციო ბიუროები, რომლებმაც მოახდინეს წევრთა აღრიცხვა. გაკეთდა მოხსენებები წინასწარ, რის შემდეგ ჩამოყალიბებულ იქმნა შემდეგი ორგანიზაციები: „რემედასი“, „ავიოქიმი“ და განხორციელია აგრეთვე ჩამოყალიბდეს „წერკუმსის“ საზოგადოება. ყველა ამათ ხელმძღვანელობენ არჩეული ბიუროები.

**პარტ-მუშაობა.** უჯრედის სხდომები იწვევა სისტემატიურათ. ამჟამად დავიწყეთ მე-14 პარტ-ყრილობის შედეგების შესწავლა.

აგრეთვე ეწყობა პარტ-დამხმარე ჯგუფის კრებები. უკანასკნელათ გაკეთდა მოხსენება „მე-14 პარტ-ყრილობა კომკავშირის შესახებ“.

საერთოდ პარტ-შემადგენლობის აქტიობა დიდათ იზრდება.

**სამწყობრო მეცადინეობა.** სამწყობრო მეცადინეობის საქმე კარგად არის დაყენებული, შეთვისებაც ძლიერ კარგია. უკანასკნელ ხანებში გავდივართ სროლას, მივედით მეოთხე ვარჯიშამდე. სროლის შედეგი საუკეთესოა. კურსანტთა შემადგენლობის 95 პრ.-მა შეასრულა და ასრულებს კარგათ სროლას.

საერთოდ მონდომება როგორც კურსანტთა მხრივ, ისე უფ-პოლიტშემადგენლობის მხრივ დიდია და შეიძლება წინასწარ თამამად ითქვას, თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა მეცადინეობა, მივიღებთ საუკეთესო ათეულის მეთაურებს და სკოლა ბრწყინვალედ შეასრულებს თავის მოვალეობას.

სამხკორი დანა.

## ცვალებადელები გულმოდგინეთ მუშაობენ სოფლად.

4-ხე ლეგ. 9-რე ასეული.

ჩვენს ასეულზე მიწერილი ცვალებადელები ენერგიულად განაგრძობენ იმ დავალებების სისრულეში მოყვანას, რომელიც მიიღეს მათ ნაწილისაგან.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგები განურჩევლად პარტიული მიმართულებისა ერთნაირად უწყობენ ხელს სოფლებში მე-14 პარტყრილობის დადგენილებების გატარებას.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოწვეულ იქნა მათი (ცვალებადელების) კონფერენცია, რომელზედაც უკლებლივ გამოცხადდენ ყველა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ კონფერენციის მუშაობაში.

კონფერენციაზე ჯამი გაუკეთდა ცვალებადელების სოფლად მუშაობას, საიდანაც გამოირკვა, რომ ის დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და იმედია ახლო ხანში იწარმოებს უფრო მეტი ენერგიით.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## ტერ-აღმშენებლობა და კავშირი გლეხობასთან.

6 ხე ლეგ. 3-მე ათასეული.

ლეგიონის ბიურო-კოლექტივის დავალებით ათასეული შეუდგა თელავის მაზრაში ტერ-სისტემის მნიშვნელობაზე კამპანიის ჩატარებას. მრავალ ადგილებში იქნა ჩატარებული მოხსენებები, მაგრამ მათ შორის აღსანიშნავია ყვარელის რაიონი, სადაც იშვიათი ყურადღებით შეეგება კამპანიას ადგილობრივი გლეხობა.

ადგილობრივ სოფლებში ვატარებდით მოხსენებებს ტერ-სისტემისა და წვევამდელთა მომავალი გამოწვევის მნიშვნელობის შესახებ.

გლეხებს დაწვრილებით გაეცნო თუ როგორ დგას წითელ არმიის აღზრდის საქმე ჩვენში და როგორი ყურადღებით ექცევა მას ხელისუფლება. მრავალ შეკითხვებს აძლევდენ მომხსენებელს გლეხები და სიამოვნებას გამოსთქვამდენ პასუხის გაცემის შემდეგ.

გლეხებმა სთხოვეს ჩვენს ამხანაგებს ხშირად მოინახულონ ისინი და წაუკითხონ მოხსენებები, გააგებინონ ქვეყნის ავ-კარგი და გააცნონ ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებს მუშურ გლეხური მთავრობა.

ასე გულმოდგინეთ ეკიდება გლეხობა ჩვენს მუშაობას სოფლად.

სამხკორი გურული.

## ქიმიის კურსები ჩვენთან.

6-ე ლეგიონი.

სამ კვირაზე მეტია, რაც ლეგიონის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამხედრო ქიმიის კურსები და მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. კურსებზე ირიცხება 16 კაცი. მსმენელები, გარდა ავადმყოფებისა, მეცადინეობას მუდმივ აკლდება 4—5 კაცი განწესების გამო. რაც შეეხება მეცადინეობას ლექტორი ამხ. სახელაშვილი მეტად მდაბიოთ და მარტივად ხსნის ყველა ქიმიურ მოვლენების შესახებ და აირ-თავდაცვის საქმეს. ამხანაგები გულმოდგინეთ ეკიდებიან სწავლას.

იმედია ამხ. ლექტორი უფრო მეტად გააღრმავებს თავის დაწყებულ საქმეს.

სამხკორი ნ. სეფაშვილი.

## წიგნები თავის დროზე უნდა დაბრუნდეს.

ცხენ. ლეგ. ბიბლიოთეკა.

ქართულ ნაწილებში საზოგადოთ დიდი ნაკლებობაა ქართულ სახელმძღვანელო წიგნების. ასეა ცხენოსან ლეგიონშიაც, მაგრამ რაც გვაქვს იმასაც ვერ ვხმარობთ საჭიროების დროს. განსაკუთრებით უხერხულ მდგომარეობაში არიან ამ მხრივ ნაწილში სხვა და სხვა ჯგუფების ხელმძღვანელები. მათ არა აქვთ საშვალება მომზადების, რადგან არსებული ქართული სახელმძღვანელო წიგნები მიაქვთ და მრავალი მათგანი უკან აღარ აბრუნებენ.

უხერხულ მდგომარეობაში vარდება აგრეთვე ლეგიონის ბიბლიოთეკის გამგე. ის ხშირად აცხადებს ყველას საყურადღებოთ წიგნების დაბრუნების შესახებ, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

იმედია ამას აღარ ექნება ადგილი ლეგიონში და ბიბლიოთეკიდან წაღებულ წიგნებს დააბრუნებენ თავის დროზე, რომ სხვასაც მიეცეს მათით სარგებლობის საშუალება.

სამხკორი სინათლე.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

## მოსპეთ წერა კითხვის უცოდინარობა.

2-ე ლეგიონის 9-ე ასეული.

ასეულში დიდი ყურადღება ექცევა სკოლის გარეშე მუშაობას წითელ არმიელთა შორის, ლენინის კუთხეში ყოველ საღამოობით იმართება საუბრები და ხმამაღალი კითხვა. კუთხეში მორიგეობენ კარგად მომზადებული ამხანაგები.

ჩვენთან გამოდის კედლის გაზეთი „ასეულის სარკის“ სახელწოდებით, რომელშიდაც შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელებიც ღებულობენ ცხოველ მონაწილეობას, სწერენ ნაწილის ცხოვრების შესახებ წერილებს. სრულიად გატარებულია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაც. ამ ჟამად უცოდინარი არც ერთი არ მოიპოება ჩვენს ნაწილში.

იშვიათი გულმოდგინეობით ეკიდებიან წითელ არმიელები თვითგანვითარების საქმეს. ყოველ საღამოს მოიყრიან თავს ლენკუთხეში და გაფაციცებით კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს. გაუგებარ სიტყვებზე იქვე ღებულობენ სათანადო განმარტებებს ლენინის კუთხის ხელმძღვანელისაგან.

თუ ასეთი ინტერესით და მონდომებით გააგრძელეს ამხანაგებმა მეცადინეობა, მალე შესაფერ ადგილს დაიჭერენ სხვა ნაწილებს შორის თავისი მომზადებით.

სამხკორი შიო აზიკუროვი.

## გულმოდგინეთ ვსწავლობთ.

2-რე ლეგ. კურსანტები.

13 იანვარს ლეგიონის ახალწვეულ წითელ არმიელების შემადგენლობიდან გადაგზავნილი იქნენ ლეგ. სკოლაში წერა-კითხვის კარგად მცოდნე წითელ არმიელები.

სკოლაში გადაგზავნილი ვიქენით აგრეთვე ლეგიონის ბატარეის წითელ არმიელთა ერთი ჯგუფი ჩვენი სურვილისამებრ პირველ დივიზიის საარტილერიო სკოლაში.

მისვლისთანავე ენერგიულად შევუდექით მეცადინეობას. მეთაურებიც ხელს გვიწყობენ ყოველმხრივად. იმედი გვაქვს გავამართლებთ ნაწილის იმედებს და მომზადებული დავუბრუნდებით ლეგიონს.

სამხკორი მირზოიანცი.

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

**ახალციხის მაზრაში.**

არჩევნების წინასწარი კამპანია დიდის წარმატებით ჩატარდა მთელს მაზრაში. მაზრა სულ დაყოფილი იყო 187 საარჩევნო უბნად.

არჩევნები დაიწყო 12 თებერვალს.

**ზუგდიდის მაზრის ლესიჭინოს თემში.** უკვე აირჩიეს სათემო საბჭო, 23 დეპუტატის შემადგენლობით. აქედან 4 კომუნისტია, 2 კომკავშირელი და 4 ქალი. დანარჩენი უპარტიოებია.

**გორის მაზრის მეჯვრისხევის თემში** არჩევნები ჩატარდა დიდის წარმატებით. სათემო საბჭოში აირჩიეს 83 წევრი, მათ შორის 6 ქალია, 16 კომუნისტი და 2 კომკავშირელი. არჩევნებზე გამოცხადდა მოსახლეობის 62 პროცენტი.

**ბორჩალოს მაზრა**

**ყიზილაჯლის თემში.** არჩევნები დასრულდა. თემსაბჭოს წევრებად აირჩიეს 46 წევრი. მათ შორის 5 ქალი, 1 კომუნისტი, ერთი კომკავშირელი და დანარჩენი უპარტიონი.

**ქვეშის თემის საბჭოში** არჩეულ იქნა 17 დეპუტატი. აქედან 3 კომუნისტია და 2 კომკავშირელი. დანარჩენი უპარტიონი. არჩეულთა შორის 1 ქალია.

**იმირასანის თემი.** საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 60 პროცენტმა. თემსაბჭოში გავიდა 18 წევრი. აქედან 6 კომუნისტია, 1 კომკავშირელი და დანარჩენი უპარტიონი.

**ძველი ქვეშის თემსაბჭოში** აირჩიეს 17 წევრი, აქედან 2 კომუნისტია, 1 კომპ. კანდიდატი და 3 კომკავშირელი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 55 პროცენტმა.

## უცხოეთის არმიებში

**ამერიკა აძლიერებს თავის საჰაერო ფლოტს.**

ამერიკის საჰაერო ძალების უფროსის გენერალ პეტრიკის მოხსენების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებს გასული წლის 30 ივლისს ჰქონდა 319 საბრძოლო ჰაეროპლანი. ამათ რიცხვში არ შედის სატრანსპორტო და საცდელი დანიშნულების ჰაეროპლანები. ამას გარდა 418 სხვა და სხვა ტიპის ჰაეროპლანები ამ ახლო მომავალში უნდა გადაეცეს შესაფერ ქარხნებს.

გენერალ პეტრიკიმ აღნიშნა, რომ დასახელებულ 737 ჰაეროპლანის გარდა „მშვიდობიანური პირობების" მოთხოვნილების დაცვისათვის საჭიროა კიდევ ყავდეს ამერიკას 950 ჰაეროპლანი. ამისათვის კი საჭიროა დამატებით გაიღოს სახელმწიფომ 31 მილიონი მანეთი. საჰაერო დეპარტამენტმა მოიწონა გენერალ პეტრიკის პროექტი და ამის გარდა გახსნა კრედიტი 1.230 ჰაეროპლანების შესაძენათ 27.826 ათასი დოლარის რაოდენობით.

**პატარა საბერძნეთი დიდი მადით.**

საბერძნეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება, ხუთი თვის განმავლობაში დაამთავროს თავისი სამხედრო ფლოტის აღდგენისათვის წარმოებული მუშაობა. ათინაში (საბერძნეთის სატახტო ქალაქი) ჩასულ ინგლისელ მეზღვაურ ინსტრუქტორებს მიეცათ განკარგულება დაუყონებლივ შეუდგენ მეზღვაურ სპეციალისტების მომზადების და მთავარი შტაბის შედგენის საქმეს.

პოლონეთისა და ლატვიის მსგავსად საბერძნეთმა შეუკვეთა საფრანგეთს სამი წყალქვეშა ნავი, რომლებიც დამზადებული უნდა იქნენ ორი წლის განმავლობაში.

—ჩვენ—განაცხადა საბერძნეთის მპართველმა გენ. პანგალოსმა,—უნდა გავხდეთ ხმელეთაშუა ზღვის აღმოსავლეთის ნაწილის მპყრობელებიო.

## ამბები სოფლებიდან

**სამხედრო მაგიდა ხევსურეთში.** დუშეთის აღმასკომმა დაადგინა, ხევსურეთში მოაწყოს სამხედრო მაგიდა.

**მასწავლებლების მოთხოვნილება.** ყაზბეგის თემის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე ყაზბეგის თემის სკოლებისათვის მასწავლებლების გაგზავნის შესახებ.

**საქონლის ჭირი ოსეთში.** ოსეთიდან მიღებული ცნობებით ზოგიერთ თემებში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. ოსეთის ცაკის განკარგულებით აღნიშნულ სოფლებში უკვე გაიგზავნენ საქონლის ექიმები.

**დახმარება.** გორის აღმასკომმა ადგილობრივ სახალხო სახლს გადასცა დახმარების სახით 200 მანეთი.

**ქარელის** აღმასკომმა დაავალა გლეხებს სუფთად შეინახონ სარწყავი რუები.

## ახალი ამბები.

— **ტფილისის** აღმასკომმა დაავალა მაზრაში არსებულ ყველა საექიმო პუნქტებს აწარმოონ წინასწარი მუშაობა, რომ მათ რაიონებში არ გავრცელდეს რაიმე გადამდები სენი.

— **საძოვრები.** ტფ. აღმასკომმა დაამტკიცა მაზრაში მდებარე ყველა საძოვრების სარგებლობის ნიხრი.

— **პასუხისგებაში მიცემა.** ტფილისის აღმასკომმა პასუხის გებაში მისცა სოფ. თელეთის აღმასკომის თავმჯდომარე ღლონტი და ასურეთის აღმასკომის თავმჯდომარე წითრაშვილი, თანამდებობრივ დანაშაულებათა გამო.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ** საბრძოლველათ ხიზეითლო სამმართველომ დაამზადა და სოფლებში დაგზავნა 1.500 ლიტრა შრატი.

— **ტყის მუშაკთა** სრ. ამიერ-კავკასიის ყრილობა მოწვეულია ტფილისში 28 თებერვლისათვის.

— **ელევატორი ფოთში.** სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი" შეუდგა ახლო ხანში ფოთში ელევატორის აგებას, რითაც ძლიერ გაადვილდება მუშების ტვირთა-გადმოტვირთვა.

— **ფართლეულობის** შემოტანა. საფეიქრო მრეწველობის სინდიკატი ყოველთვიურათ შემოიტანს ამიერ-კავკასიაში 70 რონოდა ფართალს.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ს. იმნაიშვილის გამოწვევისა, ვიწერ „გაზეთ წ. არმიელს" ხარაგოულის რაიონის, კიცხის თემის ქოხ-სამკითხველოსათვის 2-რი თვით, ორ ცალ გაზეთს და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1-ლი ლეგიონიდან: ამხ. ამხ. კ. სოსაძეს, დ. ფერაძეს, ვ. სიხარულიძეს და მ. ესეიშვილს.

მე-4-ხე ლეგიონიდან: ოც. მეთ. ამხ. ამხ. ა. ივარდავას, დ. ქეჯაიას, გ. მენალარიშვილს, ბეხრაშვილს და მაჩიტაძეს.

მე-2-ე ლეგიონიდან ამხ. ა. დეკანოსიძეს.

1-ლ ლეგ. მე-5-თე ასეულის ოც. მეთ. გ. ოკრიბელაშვილი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ბახტაძეს.** წვევამდელთა მზადების დროს საათების ფული ეკუთვნის მეთვალყურეს, მხოლოდ ვინ ითვლება მეთვალყურეთ ჯერ-ჯერობით ეს საკითხი არ არის გამორკვეული.

**ახალაძეს.** გეკუთვნით კომუნალური ფული.

**ჩხენკელს.** არა აქვს ამის უფლება.

**ნ. გ.** გამოცდები უნდა ჩააბაროთ მეთაურთა სკოლაში.

**ა. ბახტაძეს.** თუ თქვენი მუდმივი სამსახურის ადგილიდან იყავით მივლინებული სხვაგან კომისიაში, იმ შემთხვევაში გერგებათ მივლინების ფული.

**ხაბურზანიას.** ჯარში გაწვევის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში თქვენს ოჯახს ეძლეოდა დახმარება დამზღვევ სალაროდან. შემდეგ არა.

**მასვე.** ოჯახის დახმარებისათვის მიმართეთ, თუ ქალაქში ცხოვრობთ, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს და თუ სოფლად—გლეხკომს და აღმასკომს.

**კუტუბიძეს.** საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა საშუალო ცოდნა.

**ხვედელიძეს.** თქვენი შეკითხვის შესახებ მიმართეთ შინაგან საქმეთა კომისარიატს.

**კაკაურიძეს.** თუ საშუალო მეთაურზე გამოცდები ჩააბარეთ, დათხოვნილი უნდა იქნეთ უვადო შვებულებაში.

**ხურციას.** თუ თქვენ საბუთი გაქვთ, რომ დაბადებული ხართ 1905 წ. და არა 1903 წ., ასეთი წარადგინეთ ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიაში.

**ბერიაშვილს.** რძის ფული ბავშვისათვის სამხედრო უწყებიდან არ მოგეცემათ.

**ჯავახიშვილს.** თქვენ უნდა იმსახუროთ მიმდინარე წლ. შემოდგომამდე.

**გოროზიას.** ტანსაცმელი წ. ა. ურიგდება წელიწადში ორჯერ: გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

**პაქსაშვილს.** მიმართეთ კომუჯრედს.

**ვ. გ—ი ს.** მიმართეთ საბუღალტერიო კურსების ადმინისტრაციას.

**ლ—ძეს.** ოჯახური მდგომარეობა არ განთავისუფლებთ.

**მ—შვილს.** დაგვიანებულია. უნდა იმსახუროთ სხვებთან ერთად.

**ძვი—იას.** მიმართეთ სამხედრო პროკუროს.

**ზამბახიძეს.** საკუთარი იარაღების წაღება შეგიძლიათ, რომელიც მიტანილ გქონდათ ნაწილში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქართული მსროლელი ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომ. პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ ასეულის ოცეულის მეთაურს ამხ. მანჯავიძე გიორგის (ა. ლ. კ. წევრი 1923 წლიდან. თელავის მაზრის სოფელ შაშიანის მცხოვ.).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს აღნიშნულ ამხ. პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-9 კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

მდივანი **სიხარულიძე.**

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში, წერილში—ტფილისის საუკეთესო მსროლელნი—გაიპარა შემდეგი შეცდომები:

მე-6 მუხლში სწერია: ქართულ მეთაურთა სკოლა ამხ. გეგელაშვილი; უნდა იყოს გოგატიშვილი.

მე-7 მუხლში სწერია: ამ. კ. საგ. კომისიის ჯარების ინსპექტორი; უნდა იყოს—უფროსი ინსპექტორი.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. სიმართლიშვილს** (2-რე ლეგ). თქვენი კორესპონდენცია „მორიგე მეთაურიც ასეთი უნდა" გადაეგზავნა შესაფერ ზომების მისაღებათ 1-ლი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსს.

**ამხ. სიმართლის მაძიებელს** თქვენი კორესპონდენცია კურსანტების ცხენ. ლეგიონში გადაყვანის შესახებ გადაეცა შტაბს.

**ამხ. ამხ. ეკნარს და ლომსაძეს** (2-რე ლეგ.) თქვენი წერილები „უფროსის გადაყვანისა" და ლეგიონის ცხოვრების შესახებ, დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

ჩვენი ნაწილების 1-ლი არტლეგიონში, მეორე არტლეგიონის, 4-ხე ლეგიონის, 5-თე ლეგიონის, პოლიტსკოლის, სამხედრო გოსპიტალის და მესამე ლეგიონის საყურადღებოთ:

გაზეთების გზავნა, რომელსაც აწარმოებდა რედაქცია ნისიად 1-ლ იანვრიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ არტ-ლეგიონზე—50 | ც. | (40 მან. | 2 თვის) |
| მეორე არტ-ლეგ.—50 | ც. | 40 მან. | „ |
| მეოთხე ლეგიონზე—85 | ც. | 68 მან. | „ |
| მეხუთე ლეგიონზე—50 | ც. | 40 მან. | „ |
| პოლიტ-სკოლაზე—20 | ც. | 16 მან. | „ |
| სამხედრ. გოსპიტალ.—30 | ც. | 24 მან. | „ |
| მესამე ლეგიონზე—70 | ც. | 56 მან. | „ |

შეგიწყდებათ პირველი მარტიდან თუ ამ დღეებში არ შემოიტანთ აღნიშნულ ორი თვის იანვრისა და თებერვლის დავალიანებას.

## სახელმძღვანელო წიგნების სია

**1-ლი საფეხურის პარტსკოლების საუბრებისათვის**

**საუბარი მე-4 და მე-5.**

**გვაზავა დ. და გორდელაძე კ.** პოლიტცოდნა. ტ. „წიგნი კუმსი" 1925.

**პოპოვი ნ. და იაკოვლევი ა.** ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი. ტ. ცეკა. 1924 წ. (გვ. 39—55).

**სტალინი ი.** ლენინი და ლენინიზმი. ქუთაისი სახგამ. 1925 (გვ. 84—105).

**ლენინი ნ.** თხუზულებათა მე-XIX ტომი, ეროვნული საკითხი. ტ. სახგამ. 1924 (გვ. 18, 27, 188, 192 და 220).

**ლენინი ნ.** თხუზულებანი. ტომი XVIII. ტ. სახგამ. 1924 (გვ. 5—26).

**სტუჩკა პ.** კონსტიტუცია. ტ. ზაკკნიგა 1926.

**სტალინი ი.** კითხვები და პასუხები. ტ. ზაკკნიგა. 1926 წ. (პასუხი პირველ კითხვაზე).

Станчинский. Политграмота.

Познер В. Книга для чтения для сокращенных школ политграмоты.

საბიბლიოგრაფიო ბიურო.

**დაკარგე** პირადობის წიგნაკი № 4 წითელარმიელ იონა სიმონიას სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

## რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის